

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის დებულება

2003 წლის 16 იანვარი N13 ბრძანებულების დებულება.

მუხლი # 1 - სამთავრობო კომისიის სტატუსი და შექმნის საფუძველი

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისია (შემდგომში - კომისია) იქმნება "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის N160 ბრძანებულების საფუძველზე.

მუხლი # 2 - კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველები

კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს

კონსტიტუციით, "გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" და "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ამ დებულებით.

მუხლი # 3 - კომისიის ამოცანები

კომისიის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

ა) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში ერთიანი პოლიტიკის განსახორციელებლად შესაბამისი წინადადებების შემუშავება და მათი რეალიზების მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ლექსიკონებისა და ცნობარების მომზადებისა და გამოცემის პროცესის კოორდინირება;

დ) საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების დაცვისა და მართებულად გამოყენების კონტროლი.

მუხლი # 4 - კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განეკუთვნება:

ა) გეოგრაფიული ობიექტებისა და ადმინისტრაციული ერთეულების სახელდებისას საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელშეწყობა და ამ მიზნით სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დასადგენად არსებულ სახელწოდებათა გამოვლენა, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და სახელდებული გეოგ-რაფიული ობიექტებისათვის სახელწოდებების გადარქმევისას სახელმწიფოებრივი ინტერესების, აგრეთვე გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ადგილობრივი პირობებისა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით საკითხის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება;

გ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ნორმალიზება, მათი გამოყენებისა და ტრანსლიტერაციის წესის განსაზღვრა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა კორექტირება ეროვნული ტრადიციების მიხედვით;

დ) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა რეგისტრაცია და აღრიცხვა;

ე) გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დაცვისა და მართებულად გამოყენების კონტროლის მიზნით შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება.

მუხლი # 5 - კომისიის უფლებამოსილებანი

"აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონითა და "სამთავრობო კომისიების შექმნის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 1 მაისის N204 ბრძანებულებით განსაზღვრული ზოგადი კომპეტენციის ფარგლებში კომისია მის წინაშე მდგარი ამოცანების განსახორციელებლად უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც გეოგ-რაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში ადგენენ ერთიან მოთხოვნებს, ნორმებსა და წესებს;

ბ) განიხილოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესაბამის ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებები გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ;

გ) გასცეს დასკვნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ენობრივი გამართულობისა და შინაარსობრივი მიზანშეწონილობის თაობაზე, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები ამ სფეროში;

დ) მიიღოს გადაწყვეტილება გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ცნობარისა და ლექსიკონის გამოცემის თაობაზე;

ე) განახორციელოს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა რეგისტრაცია და აღრიცხვა;

ვ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის საჭირო ინფორმაცია საქართველოს ნებისმიერი სამინისტროს, უწყებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებისაგან;

ზ) მოამზადოს წინადადებები კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

თ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი # 6 - კომისიის ვალდებულებები

1. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. იგი საქართველოს პრეზიდენტს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, ხოლო საქართველოს პარლამენტს აწვდის ინფორმაციას

"გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების თაობაზე.

2. კომისია ვალდებულია სხდომაზე განსახილველი საკითხები სათანადო მასალებთან ერთად არანაკლებ სამი დღით ადრე მიაწოდოს კომისიის ყველა წევრს, მოწვეულ სპეციალისტსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტს.

მუხლი # 7 - კომისიის წევრის უფლებამოსილებანი

კომისიის წევრს უფლება აქვს:

- ა) წინასწარ გაეცნოს განსახილველი საკითხების მასალებს;
- ბ) მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია განსახილველი საკითხების შესახებ, გამოთქვას აზრი და მიაწოდოს კომისიას საკუთარი წინადადებები;
- გ) შეუზღუდავად დაესწროს კომისიის სხდომებს;
- დ) განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი # 8 - კომისიის საქმიანობის ზოგადი წესი

1. კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. იგი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ მაინც. მორიგი სხდომის მოწყობის თარიღს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

2. რიგგარეშე სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე მისივე გადაწყვეტილებით ან კომისიის წევრთა ერთი მესამედის არგუმენტირებული მოთხოვნით.

3. კომისიის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს:

- ა) ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც აქვთ კომისიის წევრებს;

ბ) კომისიის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში თავისი უფლებამოსილების განხორციელება დაავალოს მოადგილეს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ კომისიის რომელიმე წევრი არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება კომისიის არანაკლებ ორ სხდომას, დასვას საკითხი კომისიის შემადგენლობიდან მისი გაყვანის თაობაზე;

დ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებანი.

4. კომისიის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული საორგანიზაციო და სხვა სახის გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად კომისიაში გაერთიანებულ უწყებათა წარმომადგენლებისათვის.

5. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ და სხვა სახის უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა

მუხლი # 9 - კომისიის სხდომის ჩატარების წესი

1. კომისიის სხდომა იმართება დამტკიცებული დღის წესრიგის მიხედვით.

2. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე თავმჯდომარის დავალებით.

3. კომისიის სხდომები ღიაა ან, კონკრეტული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება იყოს დახურული.

4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სამი მეხუთედი.

5. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას მხარს უჭერს კომისიის წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრით.

6. კენჭისყრა, როგორც წესი, ღიაა. კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში კომისიამ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად გამართვის შესახებ.

7. საჭიროების შემთხვევაში კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ პირები, რომლებიც კომისიის შემადგენლობაში არ შედიან.

8. სხდომის პასუხისმგებელი მდივანი ადგენს სხდომის ოქმს.

9. კომისიის გადაწყვეტილება სათანადოდ აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი მდივანი. ოქმში უნდა აისახოს კომისიის ნებისმიერი წევრის კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ თავშეკავების ან უარის თქმის მიზეზი, (თუ კომისიის წევრი ამის შესახებ სხდომაზე განაცხადებს), აგრეთვე - სხდომაზე გამოთქმული ყველა განსხვავებული აზრი.

მუხლი # 10 - კომისიის ლიკვიდაცია

კომისიის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

"გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 16 იანვრის N13 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მიღებულია - 24.02.2011 წ

მალაშია - 24.02.2011 წ

18.03.2011 წ - მდგომარეობით

მიმღები: პრეზიდენტი

1. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, "გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 16 იანვრის N13 ბრძანებულებით (სსმ III, 2003

წ., N6, მუხ. 54) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-5 მუხლის:

ა.ა) პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"კომისია თავისი ამოცანებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად უფლებამოსილია:";

ა.ბ) "გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის "გ'", "გ'" და "გ'" ქვეპუნქტები:

"გ') გასცეს დასკვნა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაგზავნი საქართველოს გეოგრაფიული ობიექტების ტრანსლიტერირებულ სახელწოდებათა გეოგრაფიული ობიექტების ტრანსლიტერაციის წესთან შესაბამისობის შესახებ;

"გ") ითანამშრომლოს შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

"გ") მოიწვიოს ექსპერტები და შექმნას სამუშაო ჯგუფები კომისიის კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით;"

ბ) მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.";

გ) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.".

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სააკაშვილი